დანართი 4
დამტკიცებულია რექტორის № 58 ბრძანებით (02.03.2014),
რედაქტირებულია რექტორის №85 ბრძანებით (14.08.2015)
რედაქტირებულია აკადემიური საბჭოს №1 დადგენილებით (28.10.2016)
რედაქტირებულია აკადემიური საბჭოს №2 დადგენილებით (13.02.2020)
დამტკიცებულია ახალი რედაქციით აკადემიური საბჭოს №4 დადგენილებით (25.12.2020)

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

ბათუმი

2020

მუხლი 1. მოქმედების სფერო

წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი" სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და საშტატო და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესს.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგი

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობას განეკუთვნება პროფესორები, (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) და ასისტენტები.
2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესს. ასისტენტები სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებენ სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორების, ხელმძღვანელობით
3. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს „აკადემიური პერსონალის არჩევის წესის" შესაბამისად.
4. აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგით დატვირთვა შეიძლება იყოს სრული ან არასრული (0.25; 0.50; 0.75).
5. ცალკეულ შემთხვევებში უნივერსიტეტი აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირთან შეთანხმებით უფლებამოსილია აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირის ანაზღაურება განსაზღვროს საათობრივი წესით, თუ აკადემიური პირის მიერ განხორციელებადი სასწავლო კურსის დატვირთვა არ აღემატენა 0,5 შტატს.

მუხლი 3. საშტატო დატვირთვის განაწილება

1. პერსონალის საშტატო დატვირთვა შესრულებული უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური წლის განმავლობაში, მომავალი აკადემიური წლის დაწყებამდე
2. აკადემიური წელი შედგება ორი აკადემიური სემესტრისგან. აკადემიური წლის დაწყებისა და დასრულების თარიღები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარით.
3. სააუდიტორო მეცადინეობების ხანგრძლივობა აკადემიური წლის განმავლობაში შეადგენს 32 (პირველი სემესტრი -16, მეორე სემესტრი 16) კვირას.
4. უნივერსიტეტში სალექციო, პრაქტიკული, სემინარული მეცადინეობის, სიმულაციურ გარემოში სწავლების, კლინიკურ გარემოში სწავლების, ლაბორატორიული სამუშაოს და კლინიკური პრაქტიკის (როტაციები კლინიკურ ბაზებზე) ერთი მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 წუთით, მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთია.

5. კლინიკური პრაქტიკის დროს ჯგუფში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 4-5 სტუდენტით, ან 5-7 სტუდენტით (კლინიკასთან შეთანხმების თანახმად), პრობლემაზე დაფუძნებული და კლინიკურ ქეისზე დაფუძნებული მეცადინეობისას 7-10 სტუდენტი. ლაბორატორიული მეცადინეობისას - 10, სემინარისას - 30 (გამონაკლისს წარმოადგენს ენის სწავლება, მაქსიმუმ 25 სტუდენტი), ხოლო ლექციისას 70-100 სტუდენტით.
6. ამ მუხლის მეხუთე პუნქტით დადგენილი წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ რექტორის ბრძანებით, თუ სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია შესაბამისი ჯგუფების შექმნა.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის საშტატო დატვირთვის შინაარსი

აკადემიური პერსონალის საშტატო აკადემიური დატვირთვა მოიცავს **სააუდიტორიო** (საკონტაქტო - (სტუდენტებთან სასწავლო კურსის კომპონენტების განხორციელების) და **არასააუდიტორიო** (აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციული ფუქნციების, სამეცნიერო მუშაობის, პროფესიული განვითარებისა და თვითგანვითარების) საათებს.

მუხლი 5. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა

1. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ერთ (1.0) საშტატო განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:

პროფესორისათვის არანაკლებ 200 საათისა
(საშუალოდ 7 საათი კვირაში);
ასოცირებული პროფესორისათვის არანაკლებ 240 საათისა
(საშუალოდ 8 საათი კვირაში);
ასისტენტ-პროფესორისათვის არანაკლებ 290 საათისა
(საშუალოდ 9 საათი კვირაში);
ასისტენტისთვის არანაკლებ 350 საათისა
(საშუალოდ 11 საათი კვირაში)

2. არასრული (0.25; 0.50; 0.75) საშტატო დატვირთვა განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საათობრივი ოდენობის პროპორციულად.

მუხლი 6. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვის კომპონენტები

1. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) სალექციო, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სემინარი, სწავლება სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში და კლინიკურ ბაზებზე ჩატარებული კლინიკური პრაქტიკა - სემესტრული დატვირთვის ცხრილის შესაბამისად.

ბ) კონსულტაციები: მინიმუმ 1 სთ კვირაში შუალედური და დასკვნითი გამოცდების წინ, და შემდეგ (მინიმუმ თითო საათი თითოეულზე);

გ) შუალედური, დასკვნითი და გადაბარების გამოცდების მასალების (ტესტების, ბილეთის საკითხები, ქეისების და სხვა.) მომზადება და რეგულარული განახლება (ერთ სასწავლო კურსზე 5 სთ) ;

დ) PBL ინტეგრირებული ქეისების მომზადება - ერთი ქეისი 5-10 საათი სირთულიდან გამომდინარე.

დ) საგამოცდო ნაშრომების შემოწმება-შეფასება (5 წერით ნაშრომზე 1 სთ);

ე) ჯგუფის ტუტორობა, რაც მოცავს სტუდენტის პორტფოლიოს აკადემიური და ადმინისტრაციული ნაწილის მართვას, ან მენტორობა, რაც მოიცავს სტუდენტის პორტფოლიოს კლინიკური ნაწილის მართვას (ერთ ჯგუფზე წელიწადში 50 სთ);

ვ) ერთი მოდულის/ბლოკის კოორდინირება - სემესტრში 5 სთ

2. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა აისახება შესაბამის დატვირთვის ბლანკებში

მუხლი 7. აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვა

1. აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო (არასაკონტაქტო) დატვირთვა ერთ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:

პროფესორისათვის არანაკლებ 200 საათისა;

ასოცირებული პროფესორისათვის არანაკლებ 160 საათისა;

ასისტენტ პროფესორისათვის არანაკლებ 110 საათისა;

ასისტენტისთვის არანაკლებ 50 საათისა.

2. არასრული (0.25; 0,50; 0,75) საშტატო დატვირთვა განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საათობრივი ოდენობის პროპორციულად.

3. საათობრივ განაკავეთზე დასაქმებული აკადემიური პერის არასააუდიტორიო დატვირთვა განისაზღვრება სააუდიტორიო დატვირთვის სემესტრული/წლიური ოდენობის 30%-ით.

4. აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვა აისახება შესაბამის დატვირთვის ბლანკებში

მუხლი 8. აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვის კომპონენტები

1. აკადემიური პერსონალის არასააუდიტორიო დატვირთვა გამოიანგარიშება შემდეგი კომპონენტების შესაბამისად, ამ კომპონენტებისთვის განკუთვნილი საათობრივი მოცულობით

ა) ერთ აკადემიურ საბჭოზე დასწრება და აქტივობა - 3 სთ;
ბ) ერთი საკითხის მომზადება და აკადემიურ საბჭოზე წარსადგენა - 5 სთ;
გ) სკოლის ერთ საბჭოზე დასწრება - 3 სთ;
დ) ერთი საკითხის მომზადება და სკოლის საბჭოზე წარსადგენა - 5 სთ;
ე) სკოლის ერთი საბჭოს მდივნობა (სხდომის მომზადება, საბჭოს წევრებთან კომუნიკაცია, ოქმის მომზადება) - 5 სთ;
ვ) ერთი კოლეგიური შეფასების განხორციელება (ე.წ. Peer review) ლექციაზე ან სემინარზე დასწრების გზით - 3 სთ;
ზ) მიმდინარე პროგრამის მოდიფიცირებასა და განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, კერძოდ:

- სასწავლო გეგმის შეცვლაში მონაწილეობა - 10 სთ;
- სილაბუსის განახლება (მცირე ცვლილებები) - 2 სთ;
- სილაბუსის შეცვლა (მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე) - 10 სთ;
- ახალი სილაბუსის შემუშავება არჩევითი სასწავლო კურსისათვის - 25 სთ;
- პროგრამის SWOT ანალიზის მომზადებაში მონაწილეობა - 2 სთ;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებაში მონაწილეობა - 15 სთ;

თ) ახალ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა - 30 სთ;
ი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა - 20 სთ;
კ) სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის შექმნა - 100 სთ;
ლ) აკადემიური და მოწვეული ახალი პერსონალის ქოუჩინგი -10 სთ;
მ) ცოდნის გაზიარების აქტივობები (ბაუ-ს მიერ დაფინანსებული ტრენინგების შედეგად მიღებული ცოდნის გაზიარება) -10 სთ;
ნ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - 100 სთ;
ო)პროგრამული მოდულის ხელმძღვანელობა - 20 სთ;
პ)კვლევით-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა - 100 სთ;
ჟ) ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში - 50 სთ;
რ)საერთაშორისო კონფერენციაში (სასტენდო ან საჯარო მოხსენება, ან კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა) მონაწილეობა, - 20 სთ;
ს) თვითგანვითარების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება - 10 სთ;
ტ) ტრენინგის გავლა (საგანმანათლებლო ან პროფესიული) - 20 სთ;
უ) სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა - 10 სთ;
ფ) საჯარო ლექცია (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) - 10 სთ;
ქ) სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობა (ერთი სრული დღე 5 სთ);
ღ) გამოცდების მიმდინარეობაში ჩართულობა -3 სთ;
ყ) ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება -50 სთ.

2. ამ მუხლი პორველი პუნქტის „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერ აკადემიურ პოზიციაზე მყოფი პერსონალისავის, გარდა ასისტენტისა.
3. მეხუთე პუნქტში მოცემული არასააუდიტორიო დატვირთვის ჩამონათვალიდან აკადემიური პერსონალი ყოველი სემესტრის დასაწყისში თავად ირჩევს და სკოლის დეკანთან ათანანხმებს აღნიშნული კომპონენტებიდან კონკრეტულ აქტივობებს შესასრულებლად, ისე რომ უზრუნველყოს აკადემიური თანამდებობისათვის შესაბამისი სავალდებულო საათების შევსება.
4. არასააუდიტორიო დატვირთვის განაწილება ყველა აკადემიური პერსონალისთვის, მტკიცდება სკოლის მიერ, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა

მუხლი 9. სამეცნიერო აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამორჩეული კვლევითი კომპეტენციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალის დატვირთვა განსაღვროს ამ წესით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებულად.
2. სამეცნიერო აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დარტვირთვა განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის გათვალისწინებული 0,25 შტატის შესაბამისად.
3. არასააუდიტორიო დატვირთვის თავისებურებები (სამეცნიერო გრანტების მოზიდვა და განხორციელება, სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კვლევითი საქმიანობის განვითარება უნივერსიტეტში და სხვა) გაიწერება სააუდიტორიო დატვირთვის ბლანკში და აისახება ხელშეკრულებაში.

მუხლი 10. შეუსრულებელი დატვირთვის კომპენსირების წესი

1. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი სააუდიტორიო საათები არ იქნა სრულად შესრულებული, დასაშვებია მათი შემდგომი აკადემიური სემესტრისთვის გადატანა ერთი აკადემიური წლის ფარგლებში
2. იმ შემთხვევაში თუ სააუდიტორიო საათების გადატანა მომავალი აკადემიური სემესტრისვის შეუძლებელია, ან არ არის გამართლებული, პერსონალს ექვითება შრომის ანაზრაურება შეუსრულებელი საათების პროპორციულად, ამ წესის ნორმებითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალსიწინებული წესით.
3. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი არასააუდიტორიო საათების რაოდენობა ნაკლებია ამ წესით განსაზღვრულ მოცულობაზე, პერსონალი ვალდებულია სკოლის დეკანს წარმოუდგინოს განახლებული გეგმა, მომავალი აკადემიური წლის დაწყებამდე არასააუდიტორიო საათების სხვა კომპონენტებით შევსების თაობაზე.

სკოლის დეკანთან შეთანხმებით, დასაშვებია არასააუდიტორიო საათების ერთი აკადემიური წლის ფარგლებში, მომავალ სემესტრზე გადატანა.
4. იმ შემთხვევაში თუ არასააუდიტორიო საუდიტორიო საათების გადატანა მომავალი აკადემიური სემესტრისვის შეუძლებელია ან არ არის გამართლებული, პერსონალს ექვითება შრომის ანაზრაურება შეუსრულებელი არასააუდიტორიო საათების პროპორციულად, ამ წესის ნორმებითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალსიწინებული წესით.

მუხლი 11. აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კერძო შემთხვევები

1. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელია აკადემიური პერსონალის მოწვევა საშტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის გარდა, დამატებით საათებზე, აკადემიური პერსონალის დამატებითი სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობა (საათობრივი ანაზღაურების წესით) განისაზღვრება შტატის საათების ნახევრით.
2. თუ აკადემიურ პერსონალს ამავდროულად უნივერსიტეტში უჭირავს სრული შტატის ადმინისტარციული თანამდებობა, მაშინ მისი აკადემიური დატვირთვა განისაზღვრება ამ წესით დადგენილი დატვირთვის ნახევრით
3. სრულ შტატზე მყოფი აკადემიური პირის (აკადემიური თანამდებობის მიუხედავად) უნივერსიტეტის კორპუსში სამუშაო ადგილზე ყოფნის დრო განისაზღვრება დღეში მინიმუმ 3 საათით საბაზისო მიმართულების პერსონალისათვის და 50% ნაკლები კლინიკური მიმართულების პერსონალისათვის. ეს წესი არ ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის დისტანციური მუშაობის პერიოდზე.
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო და არასააუდიტორიო დატვირთვა აისახება შესაბამის დატვირთვის ბლანკებში (დანართი 2, დანართი 3, დანართი 4);
5. ამ მუხლის მეორე პუნქტის გამონაკლისი დასაშვებია მკვლევარი-აკადემიური პერსონალისათვის, რომელიც ჩართულია კვლევით პროექტებში და ეწევა დატვირთულ კვლევით საქმიანობას. ამ შემთხვევაში ის ასრულებს სააუდიტორიო დატვირთვის მინიმუმს (0,25 შტატის შესაბამისს) და არასააუდიტორიო დატვირთვით ივსებს წლიურ 400 (სააუდიტორიო+არასააუდიტორიო) შესასრულებელ საათს. კერძოდ, მუშაობს სამეცნიერო გრანტების მოზიდვასა და განხორციელებაზე, ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომებს და ა.შ. აღნიშნული დეტალები გაიწერება სააუდიტორიო და არასააუდირტორიო დატვირთვის ბლანკში და აისახება ხელშეკრულებაში.
6. საათობრივ განაკავეთზე დასაქმებული აკადემიური პერის არასააუდიტორიო დატვირთვა განისაზღვრება სააუდიტორიო დატვირთვის 30%-ით.

მუხლი 12. საშტატო განაკვეთით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

1.აკადემიური პერსონალის საშტატო სახელფასო განაკვეთი სააუდიტორიო/არასააუდიტორიო საათებზე სრული შტატის შემთხვევაში ნაწილდება შემდეგი პროპორციით: სააუდიტორიო 70%/ არასააუდიტორიო 30%;

2. აკადემიურ პერსონალს დატვირთვით განსაზღვრული სააუდიტორიო საათების გაცდენის და მათი არ აღდგენის შემთხვევაში, გაცდენილი საათების ანაზღაურება დაექვითებათ პროპორციულად ხელფასის 70%-ის, ხოლო არასააუდიტორიო საათების გაცდენის და მათი არ აღდგენის შემთხვევაში, გაცდენილი საათების ანაზღაურება დაექვითებათ ხელფასის 30%-დან პროპორციულად.

3. წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, დატვირთვით განსაზღვული სააუდიტორიო და არასააუდიტორიო გაცდენილი საათები ექვემდებარება აღდგენას დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში.

4. მოწვეულ პერსონალს შეუსრულებელი საათები არ აუნაზღაურდება.

5. თუ სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური თანამდებობის პირი შეასრულებს წინასწარ დაუგეგმავ, მაგრამ საგანმანათლებლო პროცესით განსაზღვრულ სამუშაოს, როგორებიცაა, FX-კატეგორიით შეფასებული სტუდენტების დამატებითი გამოცდის ჩატარება, გამოცდების ჩატარება მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების კრედიტების აღიარებისათვის, განმეორებითი კურსის გავლის სტუდენტთათვის სააუდიტორიო მეცადინეობების და გამოცდების ჩატარება, აღნიშნული სამუშაო ანაზღაურდება საათობრივი ანაზღაურების წესით.

მუხლი 13. სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის დატვირთვა

1. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და სრულყოფილად წარმართვისათვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს და საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელებაში ჩართოს პროფესიული ან/და აკადემიური ნიშნით კვალიფიცური მოწვეული პერსონალი, საათობრივი ანაზღაურების წესით, „მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად,

2. მოწვეული პერსონალის შესრულებული ერთი სააუდიტორიო საათის ანაზღაურების სახელფასო ტარიფი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, (შესრულებული საათების რაოდენობა აისახება ანაზღაურების დამადასტურებელ განაცხადში, დანართი 1),

3. მხარეთა შეთანხმებით, დასაშვებია მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულების დადება სრულ ან ნაწილობრივ შტატზე (0.75; 0,5; 0,25), შესრულებული საათების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

1. კონტროლი წესის შესრულებაზე დაევალოს დეკანატს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
2. წესი ძალაში შევიდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.3. წინამდებარე წესის დებულებები არ ვრცელდება მის დამტკიცებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

დანართი 1

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
BAU International University, Batumi
ანაზღაურების დამადასტურებელი განაცხადი
Payment Confirmation Request

ბაუ–ბათუმის რექტორის 201____წლის _____ № _____ ბრძანებისა
In According to the BAU Batumi Rector's Order
და შრომითი ხელშეკრულებით (№ _____, თარიღი _____)
and Labor Agreement dated
მოწვეულმა პედაგოგმა/აკად.პერსონალმა _____
მედიცინის და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში მთლიანად საათობრივი დატვირთვის ფარგლებში ჩაატარა:
the invited teacher/academic personnel completed the teaching hours on the Faculty of "Medicine"
_____ წლის (Year)_____ თვეში (month) :

N	თვე, რიცხვ Date	საგანმანათლებლ პროგრამა Education Program	სასწავლო კურსის დასახელე Title of Learning Course	საკონტაქტო საათე Contact Hours
			საათების ჯამი: Total Hours:	

გთხოვთ დაგვიდასტუროთ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.
Please confirm the financial compensation for completed teaching hours.
მოწვეული პედაგოგი/ პროფესორი/ ასოც.პროფესორი/ასისტ.პროფესორი
The invited teacher/professor/Assoc.Professor/Assist.Professor
„ვეთანხმები"
"Agreed"
სკოლის დეკანი
Dean of Faculty

საათების ჯა Total hours	ერთი საათი ტარიფი	ხელზე გასაცემი ფულადი თანხ Salary (Netto) (GEL)	შენიშვნა Notes

	one hour cos		

საფინანსო–ეკონომიკური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი
Head of Financial, Economical and Material Resources Service

ადმინისტრაციის უფროსი
Head of Administration

«_____» _____ 201

შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"

დატვირთვა ---------- სასწავლო წელი

ფაკულტეტი:	მედიცინა
პროგრამა:	მედიცინა
დეპარტამენტი:	საბაზისო მედიცინა/ კლინიკური მედიცინა
დისციპლინა:	
პედაგოგის სახელი, გვარი:	
სამეცნიერო (აკად.) ხარისხი:	
სტატუსი	

# /#	სასწავლო კურსის		სემესტრი	სტუდ. რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში		**დატვირთვა (საათი)**																											
							საშემოდგომო სემესტრი								**სულ**	**საგაზაფხულო სემესტრი**								**სულ**	**წლიური დატვირთვა**									**სულ საათების რაოდენობა**
							ლექცია		ჯგუფში მუშაობა		ლაბორ.		კლინიკური პრაქტიკა	კონსულტაცია		ლექცია		ჯგუფში მუშაობა		ლაბორ.		კლინიკური პრაქტიკა	კონსულტაცია		საუდიტ.			შუალედ.გამოცდა		დასკვნითი გამოცდა		კლინიკური პრაქტიკა	კონსულტაცია	კურატორობა	
	კოდი	დასახელება			ლექციაზე	გმ, ლაბ.	გეგმით	სულ	გეგმით	სულ	გეგმით	სულ				გეგმით	სულ	გეგმით	სულ	გეგმით	სულ				ლექცია	ჯგუფში მუშაობ.	ლაბორ.	კონსულტაცია	გამოცდა	კონსულტაცია	გამოცდა				
1																																		**0**
2																																		**0**
3																																		**0**
4																																		**0**
5																																		**0**
6																																		**0**
7																																		**0**
8																																		**0**
9																																		**0**
სულ:							**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**

დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ფაკულტეტის დეკანი:

პედაგოგი:

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

LLC BAU International University, Batumi

არასააუდიტორიო დატვირთვის შესრულების ფორმა

Noncontact Loading Confirmation Form

ბაუ–ბათუმის რექტორის **20 ------ წლის** -------- № --- ბრძანებითა

In According to the BAU Batumi Rector's Order

და შრომითი ხელშეკრულებით **(№ -----,** თარიღი ---------- **წ.)**

and Labour Agreement dated

აკად.პერსონალმა (სახელი გვარი)----------პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი/ასისტენტი მედიცინის და ჯანმრტელობის მეცნიერებათა სკოლაში არასააუდიტორიო დატვირთვის ფარგლებში ---------- აკადემიური წლის შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში შეასრულა:

Academic personnel (name, surname)---------- professor/associate professor/assistant professor/assistant) have fulfiled the noncontact hours on the School of Medicine and Medical Sciences at fall/spring semester of ---------- academic year:

№	აკადემიური წელი, სემესტრი Ac. Year, semester	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება Title of work to be fulfilled	შესასრულებელი სთ Hs of work to be fulfilled	შესრულებული სთ Hs of fulfilled work	დამადასტურებელი დოკუმენტი Confirmation Doc.
1	2021-20----, შემოდგომის/ გაზაფხულის სემესტრი	ერთ აკადემიურ საბჭოზე დასწრება და აქტივობა	3		
		ერთი საკითხის მომზადება და აკადემიურ საბჭოზე წარსადგენა	5		
		სკოლის ერთ საბჭოზე დასწრება	3		
		ერთი საკითხის მომზადება და სკოლის საბჭოზე წარსადგენა	5		
		სკოლის ერთი საბჭოს მდივნობა (სხდომის მომზადება, საბჭოს წევრებთან კომუნიკაცია, ოქმის მომზადება)	5		
		ერთი კოლეგიური შეფასების განხორციელება (ე.წ. Peer review) ლექციაზე ან სემინარზე დასწრების გზით			
		მიმდინარე პროგრამის მოდიფიცირებასა და განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, კერძოდ:			
		• სასწავლო გეგმის შეცვლაში მონაწილეობა	10		
		• სილაბუსის განახლება (მცირე ცვლილებები)	2		
		• სილაბუსის შეცვლა (მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე)	10		
		• ახალი სილაბუსის შემუშავება არჩევითი სასწავლო კურსისათვის	25		
		• პროგრამის SWOT ანალიზის მომზადებაში მონაწილეობა	2		
		• პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებაში მონაწილეობა	15		
		ახალ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა	30		
		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა	20		
		სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის შექმნა	100		
		აკადემიური და მოწვეული ახალი პერსონალის ქოუჩინგი	10		
		ცოდნის გაზიარების აქტივობები (ბაუ-ს მიერ დაფინანსებული ტრენინგების შედეგად მიღებული ცოდნის გაზიარება)	10		
		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა	100		
		პროგრამული მოდულის ხელმძღვანელობა	20		
		კვლევით-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა	20		
		ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში*	50		
		საერთაშორისო კონფერენციაში (სასტენდო ან საჯარო მოხსენება, ან კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა) მონაწილეობა*	20		
		თვითგანვითარების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	10		
		ტრენინგის გავლა (საგანმანათლებლო ან პროფესიული)	20		
		სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა	10		
		საჯარო ლექცია (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა)	10		
		სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობა	ერთი სრული დღე 5 სთ		
		გამოცდების მიმდინარეობაში ჩართულობა	3		
		ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება	50		
სულ შესასრულებელი მინიმუმი					**0**

* სავალდებულო შესასრულებელი ნებისმიერ პოზიციზე

წელიწადში შესასრულებელი საათების მინიმუმი პოზიციის მიხედვით
პროფესორისათვის არანაკლებ 200 საათისა;
ასოცირებული პროფესორისათვის არანაკლებ 160 საათისა;
ასისტენტ პროფესორისათვის არანაკლებ 110 საათისა;
ასისტენტისთვის არანაკლებ 50 საათისა.

პროფესორი/ ასოც.პროფესორი/ასისტ.პროფესორი

Professor/Assoc.Professor/Assist.Professor/Asisstant

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

The Head of Faculty Council

დანართი 4

სააუდიტორიო და არასააუდიტორიო დატვირთვის და სახელფასო ტარიფის ცხრილი
აკადემიური პოზიციებისა და საშტატო დატვირთვის მიხედვით

აკადემიური თანამდებობა Academic Positi	სააუდიტ ო დატვირთ Contact W Loading	არასააუდიტორ დატვირთვა Noncontact Wo Loading	კოეფიციენტ Coefficient	ხელფას Salary	ხელზე გასაცემ ფულად თანხა Salary -20	20%	არასააუდიტორ შესასრულებე სთ. (საბაზის კვირაში Noncontact hs/w (Basic)	არასააუდიტორ შესასრულებე სთ. (კლინიკურ კვირაში Noncontact hs/w (Clinical)
პროფესორი/ Professor	200	200	1.00				15	8
	150	150	0.75				11	6
	100	100	0.50				7	4
	50	50	0.25				4	2
ასოცირებულ პროფესორი/ Associate Profes	240	160	1.00				15	8
	180	120	0.75				11	6
	120	80	0.50				7	4
	60	40	0.25				4	2
ასისტენტ პროფესორი/ Assistant Profess	290	110	1.00				15	8
	218	82.5	0.75				11	6
	145	55	0.50				7	4
	73	28	0.25				4	2
ასისტენტი/ Assistant	350	50	1.00				15	8
	263	38	0.75				11	6
	175	25	0.50				7	4
	88	13	0.25				4	2